უკანონო მფლობიდან ნივთის გამოთხოვა

საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

№3კ/624-02 **9 სექტემბერი, 2002 წ., ქ. თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა

შემადგენლობა:

ლადო ჭანტურია **(თავმჯდომარე),**
ვალერი ხრუსტალი,
ბადრი მეტრეველი,
მერაბ ტურავა,
როზა ნადირიანი **(მომხსენებელი),**
მიხეილ გოგიშვილი,
მურმან წიქვაძე,
ნანა კლარჯეიშვილი,
ნინო გვენეტაძე

სხდომის მდივანი – ირინა როყვა
კასატორი – თ. კ.- ი (მოსარჩელე)
წარმომადგენელი – მ. ო.-ი
გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება.
კასატორთა თხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება
მოწინააღმდეგე მხარე – სს „.... (მოპასუხე)
წარმომადგენელი – დ. რ.-ი, ი. მ.-ი

დავის საგანი – ნივთის გამოთხოვა უკანონო მფლობელობიდან

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

2001 წლის 13 აგვისტოს თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა თ. კ.-მა სს „...-ის " მიმართ და მოითხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან თავისი ნივთის – ავტომანქანის დაბრუნება. სარჩელის საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა, რომ ავტომანქანის გაყიდვის მიზნით აწარმოა მოლაპარაკება გ. პ.-

თან, რომელსაც 2000 წლის 8 ოქტომბერს გადასცა ავტომანქანა და მისი სარეგისტრაციო მოწმობა იმ პირობით, რომ ავტომანქანის ღირებულების გადახდის შემდეგ იგი გადაფორმდებოდა გ. პ.-ზე (მყიდველზე). მომდევნო დღეს გ. პ.-მა ისარგებლა რა ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობით, ნოტარიუსთან შეთანხმებით დაამზადა ყალბი გენერალური მინდობილობა იმის შესახებ, თითქოს თ. კ.-მა გადასცა მას თავისი კუთვნილი ავტომანქანა „მერსედეს-ბენცის" განკარგვის უფლება, იმავე დღეს დააგირავა აღნიშნული ავტომანქანა „...ში " აღებული 8000 აშშ დოლარის სესხის უზრუნველსაყოფად და მიიმალა.

მოსარჩელის განმარტებით, 2001 წლის 10 მარტს ავტომანქანების ბაზრობაზე აღმოაჩინა თავისი ავტომანქანა, რომელიც სს „...-ს".ჰქონდა გამოტანილი გასაყიდად. მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა სს „...''-ის მფლობელობიდან თავისი ნივთის – ავტომანქანა „მერსედეს-ბენცის" დაბრუნება, ვინაიდან, მისი აზრით, ავტომანქანა იმყოფება ბანკის უკანონო მფლობელობაში. მას ავტომანქანა გ. პ.-თვის იმ მიზნით არ გადაუცია, რომ იგი ბანკში დაეგირავებინა და არც მინდობილობა მიუცია მისთვის მანქანის დასაგირავებლად.
მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ იგი წარმოადგენს კეთილსინდისიერ მფლობელს და მას სადავო ავტომანქანა აქვს კანონიერ მფლობელობაში. მოპასუხის მტკიცებით, გ. პ.-მა ავტომანქანა დააგირავა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, რომ ბანკმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა მინდობილობის სიყალბის შესახებ.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: სს „ -ს" ჩამოერთვა უკანონო მფლობელობიდან ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი" სახელმწიფო ნომრით „....." და დაუბრუნდა მის კანონიერ მესაკუთრეს – თ. -კ..

რაიონულმა სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 186-ე მუხლზე.

სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სს „-ის" წარმომადგენელმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა მოითხოვა საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება და მოსარჩელისათვის სარჩელზე უარის თქმა იმ საფუძვლით, რომ ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლი, რომლის თანახმადაც სს „..... " უნდა ჩაითვალოს მართლზომიერ მფლობელად.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილებით სს „.-ის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით თ. კ.-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ თ. კ.-ის კუთვნილი ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი", სახელმწიფო ნომრით ..... მფლობელობაში გადაეცა პოტენციურ მყიდველს გ. პ.-ს, რომელსაც თ. კ.-მა გადასცა ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობაც. ამ უკანასკნელმა გამოიყენა ავტომანქანის განკარგვის უფლების მიმნიჭებელი ყალბი გენერალური მინდობილობა და დააგირავა თ. კ.-ის კუთვნილი ავტომანქანა სს „....ში ",

აიღო ბანკიდან სესხი 8000 აშშ დოლარი, რომელიც ბანკისათვის არ დაუბრუნებია და მიიმალა. სასამართლომ ასევე დადგენილად ცნო, რომ გ. პ.-ის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ" პუნქტით და 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ" პუნქტით. პ.-ის ადგილსამყოფელის დაუდგენლობის გამო მის მიმართ გამოცხადდა ძებნა. თ. კ.-ი ცნობილ იქნა საქმეში დაზარალებულად, ხოლო სისხლის სამართლის საქმე 2001 წლის 22 ივნისს წარმოებით შეჩერდა.

სააპელაციო პალატამ მოცემულ შემთხვევაში სს „ ....გან" ავტომანქანის დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებლად მიიჩნია იმ მოტივით, რომ ბანკს ჰქონდა მისი ფლობის უფლება. სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, სს „.... " ავტომანქანას ფლობს მართლზომიერად გ. პ.-თან გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. ამავე კოდექსის 162-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაუშვებელია მართლზომიერ მფლობელს მოეთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, თ. კ.-მა გადასცა რა ავტომანქანა და მისი სარეგისტრაციო მოწმობა გ. პ.-ს, ნაწილობრივ ხელი შეუწყო დანაშაულის განხორციელებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. სასამართლომ მიუთითა, რომ მართალია, ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობა გაცემული იყო თ. კ.-ის სახელზე, მაგრამ თ. კ.-ს შეეძლო ევარაუდა, რომ გ. პ.-ი ბოროტად გამოიყენებდა ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობის მისთვის გადაცემის ფაქტს, ანუ თ. კ.-მა არ გამოიჩინა სათანადო წინდახედულება. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მისი კეთილსინდისიერების ხარისხი ნაკლებია, ვიდრე ბანკისა, რომელსაც არ შეეძლო ევარაუდა, რომ გ. პ.-ს, რომელიც ფლობს ავტომანქანას, აქვს მისი სარეგისტრაციო მოწმობა და სათანადო წესით გაფორმებული გენერალური მინდობილობა, რომელიც შეიცავდა აღნიშნული ავტომანქანის განკარგვის უფლებასაც, მოპოვებული აქვს იგი დანაშაულებრივი გზით. აქედან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბანკმა მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით გააფორმა გირავნობის ხელშეკრულება და სამოქალაქო კოდექსის 261-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, მას უფლება აქვს ფლობდეს გირაოს საგანს. პალატამ მიუთითა, რომ თ. კ.-ი უფლებამოსილია მოითხოვოს განაცდური ზიანის ანაზღაურება გ. პ.-სა და ნოტარიუსისგან, რომელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებითაც მას მიადგა ზიანი.

თ. კ.-მა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორს მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატის ზემოხსენებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, ითხოვს მის გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად განმარტა მისი ნება, ვინაიდან არ არსებობდა მისი მხრიდან ავტომანქანის გირაოში ჩადების ნება, მისი ნება იყო ავტომანქანის გაყიდვა. ავტომანქანა უკანონო მფლობელმა მიიღო უსასყიდლოდ. კასატორის მოსაზრებით, ავტომანქანა მოპასუხის მფლობელობაში გადასულია ყალბი მინდობილობის საფუძველზე არაუფლებამოსილი პირისაგან. თ. კ.-ს მიაჩნია, რომ ის ფაქტი, რომ მას არ გააჩნდა ავტომანქანის გირაოში ჩადების ნება, დასტურდება იმითაც, რომ იგი სისხლის სამართლის საქმეზე ცნობილია დაზარალებულად.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, საკასაციო საჩივრის საფუძვლები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები საოლქო სასამართლოს პალატის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

მოცემულ საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ მოსარჩელემ, რომელიც წარმოადგენს სადავო ავტომანქანის მესაკუთრეს, გ. პ.-თან (მყიდველთან) დადო ავტომანქანის ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ მასზე საკუთრება გადავიდოდა მხოლოდ მის მიერ ავტომანქანის ფასის სრულად გადახდის შემდეგ. მოსარჩელემ გ.პ.-ს გადასცა ავტომანქანა და სარეგისტრაციო მოწმობა. გ.პ.-მა ისარგებლა რა ავტომანქანის სარეგისტრაციო მოწმობით, ნოტარიუსთან დაამზადა ყალბი გენერალური მინდობილობა იმის შესახებ, თითქოს მოსარჩელემ გადასცა მას კუთვნილი ავტომანქანის განკარგვის უფლება, იმავე დღეს დააგირავა აღნიშნული ავტომანქანა ბანკში აღებული 8000 აშშ დოლარის სესხის უზრუნველსაყოფად და გაუჩინარდა.

დადგენილია, რომ გენერალური მინდობილობა, რომლითაც გ.პ.-მა დააგირავა ბანკში ავტომანქანა და რომელიც დამოწმებულია სანოტარო წესით, ყალბია.

2001 წლის 10 მარტს ავტომანქანების ბაზრობაზე, მოსარჩელემ აღმოაჩინა თავისი ავტომანქანა, რომელიც ბანკს ჰქონდა გატანილი სარეალიზაციოდ, რადგან გ.პ.-მა ვერ დააბრუნა აღებული სესხი.

მითითებულ ფაქტობრივ გარემოებებს მხარეები ეთანხმებიან და სადავოდ არ ხდიან.

დიდი პალატა ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სააპელაციო პალატამ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება, კერძოდ, არასწორად განმარტა კანონი, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და მოცემულ საქმეზე მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, რის გამოც დიდი პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი, მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

1. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ნივთის ფლობის უფლება.

სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება მესაკუთრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მისი უზრუნველყოფა ხდება სავინდიკაციო სარჩელის შეტანის გზით. მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ შემთხვევაში სამი წინაპირობის არსებობისას არის შესაძლებელი: პირველი, უნდა არსებობდეს ნივთის მესაკუთრე, მეორე უნდა არსებობდეს ნივთის მფლობელი და მესამე, მფლობელს არ უნდა ჰქონდეს ამ ნივთის ფლობის უფლება.

აქედან გამომდინარე, მოსარჩელეს შეეძლო სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მოპასუხისაგან (ბანკისაგან) მოეთხოვა თავისი ავტომანქანის უკან დაბრუნება, თუკი ავტომანქანა მოპასუხის უკანონო მფლობელობაში იმყოფებოდა.

სარჩელის საფუძვლიანობის შესამოწმებლად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რომ მოსარჩელე მესაკუთრეა და მას, როგორც მესაკუთრეს, უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ნივთი სხვისი უკანონო მფლობელობიდან. ეს აუცილებელია იმიტომაც, რომ საქართველოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით ავტომანქანის გადაცემა შემძენზე ხდება არა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ შემძენისათვის გენერალური მინდობილობის მიცემით, რომელიც მას ავტომანქანის გასხვისების უფლებასაც ანიჭებს. ასეთი წესით ავტომანქანის გადაცემა შემძენისათვის არ იწვევს მასზე საკუთრების უფლების გადაცემას.

მოსარჩელე არის სადავო ავტომანქანის მესაკუთრე. ეს იმითაც დასტურდება, რომ საგზაო პოლიციაში ავტომანქანა მოსარჩელის სახელზეა რეგისტრირებული. საგზაო პოლიციაში რეგისტრაცია არ არის აუცილებელი პირობა მოძრავ ქონებაზე (მათ შორის, ავტომანქანაზე) საკუთრების გადაცემისთვის. საგზაო პოლიციაში აღრიცხვაზე დადგომა არ არის სამოქალაქო-სამართლებრივი აქტი, იგი ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება, მაგრამ შეიძლება გამოდგეს ერთ-ერთ მტკიცებულებად, რომ ავტომანქანა იმ პირის საკუთრებაა, ვინც რეგისტრირებულია საგზაო პოლიციაში.
მოსარჩელის ავტომანქანის მესაკუთრედ ყოფნის ფაქტი სადავო ხდება მას შემდეგ, რაც წარმოიშობა ურთიერთობა მოსარჩელესა და გ.პ.-ს (მყიდველს) შორის. კერძოდ, უნდა დაზუსტდეს, დაკარგა თუ არა საკუთრება ავტომანქანაზე მოსარჩელემ მყიდველთან დადებული ხელშეკრულების შედეგად.

მოსარჩელის განმარტებით მასა და გ.პ.-ს შორის იყო შეთანხმება ავტომანქანის ნასყიდობის შესახებ; მან მყიდველს ავტომანქანა და მისი სარეგისტრაციო მოწმობა გადასცა იმ პირობით, რომ ავტომანქანის ღირებულების გადახდის შემდეგ იგი მას გადააფორმებდა მყიდველის სახელზე.

მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლის საფუძველს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის შესაბამისად უნდა იყოს დადებული. ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

არსებით პირობებად, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ჩაითვლება ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება. ასეთ პირობებად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების საგანი (ავტომანქანა), ფასი და გადახდის პირობა, რომლებზეც, როგორც დადგენილია, მოსარჩელე და გ.პ.-ი შეთანხმდნენ.
რაც შეეხება ავტომანქანის ნასყიდობის ფორმას, კანონი მისთვის რაიმე სპეციალურ ფორმას არ ადგენს. იგი შეიძლება ზეპირადაც დაიდოს. ამიტომ ამ შემთხვევაში ავტომანქანის ნასყიდობა სრულიად შესაძლებელი იყო ზეპირად დადებულიყო.

ნასყიდობის ხელშეკრულების დადება ნიშნავს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, მაგრამ, ის ჯერ კიდევ არ ნიშნავს საკუთრების გადასვლას მყიდველზე.

სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ამრიგად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის

აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა: ნამდვილი უფლება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი უფლება მყიდველისა მოითხოვოს ნივთის გადაცემა) და ნივთის ფაქტობრივი გადაცემა (ამ შემთხვევაში ავტომანქანის გადაცემა მყიდველზე).

ფორმალურად, განსახილველ შემთხვევაში ორივე წინაპირობა არსებობს: მოსარჩელესა და გ.პ.-ს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება და ავტომანქანაც გადასცა მოსარჩელემ მას მფლობელობაში სარეგისტრაციო მოწმობასთან ერთად. თუმცა, ნივთის მხოლოდ ფაქტობრივი გადაცემა არ არის საკმარისი მასზე საკუთრების წარმოშობისათვის: სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ნივთის გადაცემად ითვლება შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში. ამიტომ, მაგალითად, ავტომანქანის გადაცემა სასინჯი ტარებისათვის წარმოადგენს ნივთის გადაცემას არაპირდაპირ მფლობელობაში და იგი არ უნდა დაკვალიფიცირდეს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ გადაცემად. ამასთან, ნივთის ფაქტობრივი გადაცემა მიზნად უნდა ისახავდეს საკუთრებაში ამ ნივთის გადაცემას.

გარდა ამისა, მოსარჩელის განმარტებით ირკვევა, რომ საკუთრება ავტომანქანაზე გ.პ.-ს უნდა გადასცემოდა მას შემდეგ, რაც იგი სრულად გადაიხდიდა ავტომანქანის ღირებულებას.

სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. შემძენზე გადაცემული ნივთი საფასურის სრულად გადახდამდე გამსხვისებლის საკუთრებაა.

მოსარჩელემ გ.პ.-ს საკუთრების უფლების გადასვლის პირობად დაუთქვა ავტომანქანის ღირებულების სრულად გადახდა. მოსარჩელის სიტყვები: „რომ ავტომანქანის ღირებულების გადახდის შემდეგ იგი გადაფორმდებოდა გ.პ.-ზე" სწორედ ამგვარად უნდა იქნეს გაგებული.

სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას ნივთის გადაცემა შემძენისათვის (მყიდველისათვის) ჯერ კიდევ არ ნიშნავს მასზე საკუთრების უფლების გადაცემას. აქედან გამომდინარე, გ.პ.-ს, მიუხედავად ნივთის ფაქტობრივი ფლობისა, უფლება არ ჰქონდა გაესხვისებინა ან და ეგირავებინა ავტომანქანა.

იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე არის ავტომანქანის მესაკუთრე, არც მოპასუხე (ბანკი) უარყოფს. ეს დასტურდება შემდეგი გარემოებით: ბანკი არ ამტკიცებს, რომ დამგირავებელი (გ. პ.-ი) იყო მესაკუთრე, არამედ მას ჰქონდა მინდობილობა, რომელიც დამოწმებული იყო სანოტარო წესით.

მიუხედავად მოსარჩელესა და გ.პ.-ს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებისა, მოსარჩელე დარჩა ავტომანქანის მესაკუთრედ და საკუთრების უფლება ავტომანქანაზე მისთვის არ გადაუცია. ამიტომ როგორც მესაკუთრეს, მას შეუძლია სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოითხოვოს სხვისი უკანონო მფლობელობიდან ავტომანქანის გამოთხოვა.

შემდეგი საკითხი, რომელიც უნდა იქნეს განხილული, მდგომარეობს იმაში, არის თუ არა მოპასუხე (ბანკი) ავტომანქანის კანონიერი მფლობელი.

2. მოპასუხის მიერ ავტომანქანის ფლობას საფუძვლად დაედო გირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც მესამე პირმა (გ.პ.-მა) ბანკში აღებული სესხის უზრუნველყოფის მიზნით დააგირავა მოსარჩელის ავტომანქანა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის

საფუძველზე. გ.პ.-მა ბანკს სესხის უზრუნველყოფის მიზნით გადასცა მოსარჩელის ავტომანქანა.

ვინაიდან გ.პ.-მა ვერ შეასრულა ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, ე.ი. დროულად ვერ დააბრუნა სესხი, ბანკმა გადაწყვიტა ავტომანქანის რეალიზაცია ავტომანქანის ბაზრობაზე.

რადგან ავტომანქანის დაგირავება მოხდა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, რომლითაც მესაკუთრე (მოსარჩელე) დაგირავების უფლებას ანიჭებდა მესამე პირს (გ.პ.-ს), ბანკი თვლის, რომ ის არის კეთილსინდისიერი მფლობელი და ამიტომაც უარს აცხადებს მოსარჩელისათვის ავტომანქანის დაბრუნებაზე.

მართალია, ბანკი ფაქტობრივად ფლობს ავტომანქანას და, ერთი შეხედვით, მას ამის უფლებაც აქვს, მაგრამ დავის სწორად გადასაწყვეტად მნიშვნელობა აქვს ამას, თუ რამდენად აქვს მას ამ ნივთის ფლობის უფლება.

3. გირავნობის დროს მოგირავნის მიერ გირაოს (გირავნობის საგნის) ფლობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს გირავნობის უფლება, რომელიც წარმოიშობა სამოქალაქო კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დაცვით.

დამგირავებელი შეიძლება იყოს როგორც მოგირავნის (კრედიტორის) პირადი მოვალე, ისე მესამე პირი – დაგირავებული საგნის მესაკუთრე, რომელიც თავისი მოძრავი ნივთით უზრუნველყოფს მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. დამგირავებელი შეიძლება იყოს გირაოს არამესაკუთრეც, მაგრამ ამისათვის აუცილებელია მესაკუთრის თანხმობა (მაგალითად, 263-ე მუხლი, რომელიც ამ შემთხვევაში შეიძლება ანალოგიით იქნეს გამოყენებული, ვინაიდან აქაც საუბარია არამესაკუთრის მიერ მის მფლობელობაში არსებული ნივთის დაგირავებაზე).

მოცემულ შემთხვევაში დამგირავებელს (გ.პ.-ს), რომელიც როგორც ზემოთ აღინიშნა, არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე, როგორც არამესაკუთრეს, არ ჰქონდა უფლება ბანკში დაეგირავებინა ავტომანქანა. მას ამისათვის სჭირდებოდა მესაკუთრის თანხმობა, რომელიც მას არ ჰქონდა.

სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, მოძრავი ნივთის დაგირავება ხორციელდება მისი შეძენისათვის დადგენილი წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი აქ უთითებს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით გათვალისწინებულ წესზე, რომლის თანახმად „მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი". ამრიგად, ავტომანქანის დაგირავება ბანკში უნდა მოხდეს ნამდვილი უფლების საფუძველზე. ნამდვილ უფლებად განსახილველ შემთხვევაში ჩაითვლებოდა მესაკუთრის მიერ მესამე პირისათვის (გ.პ.-თვის) მიცემული ავტომანქანის დაგირავების უფლება, რაც არ არსებობს. მინდობილობა, მართალია, სანოტარო წესით არის დამოწმებული, მაგრამ ყალბია. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ მესამე პირი (გ.პ.-ი) ავტომანქანის დაგირავებისას მოსარჩელის (მესაკუთრის) ნებას გამოხატავდა, საფუძველს მოკლებულია.

გარდა ამისა, არ არსებობს შეთანხმება მოსარჩელესა (ავტომანქანის მესაკუთრესა) და ბანკს შორის ნივთის დაგირავების შესახებ. ამიტომ არავითარი ვალდებულება ავტომანქანის დაგირავების თაობაზე მოსარჩელეს ბანკის მიმართ არ უკისრია.

ბანკი თავის შესაგებელში მიუთითებს, რომ მან ავტომანქანა გირაოში დაიტოვა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე; ამიტომ იგი თვლის, რომ სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლის მიხედვით არის კეთილსინდისიერი მოგირავნე,

ვინაიდან მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ გ.პ.-ს არ ჰქონდა დაგირავების უფლება; ასევე, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მიხედვით ავტომანქანა მოსარჩელის ნებით გავიდა მისი მფლობელობიდან.

იმ ფაქტს, რომ გ.პ.-მა სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა წარუდგინა ბანკს, რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს შემდეგი გარემოებების გამო:

პირველი, სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს მოძრავი ნივთების დაგირავებისას სავალდებულო სანოტარო წესის გამოყენებას. სამოქალაქო კოდექსის 255-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დამგირავებელსა და მოგირავნეს შეუძლიათ გირავნობა გააფორმონ სანოტარო წესით, მაგრამ ამ შემთხვევაში გირავნობა წარმოიშობა მხოლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად ისე, რომ გირაოს გადაცემა მოგირავნის მფლობელობაში სავალდებულო არ არის. ასეთი გირავნობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

მეორე, სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფციას: სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭების ფაქტის არსებობას. უფლებამოსილება უნდა იყოს ნამდვილი. ბანკს უნდა გამოეჩინა წინდახედულება, სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი გულისხმიერება, დაკავშირებოდა ავტომანქანის მესაკუთრეს და გაეგო მისგან, იყო თუ არა იგი თანახმა, მისი ავტომანქანა დაგირავებულიყო ბანკში.

სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლის თანახმად, თუ გირავნობის საგნის (გირაოს) გადაცემა სხვა პირისათვის ხორციელდება საბუთის გადაცემით და დამგირავებელი გირავნობის წარმოშობის მომენტისათვის ფლობს ამ ნივთს (უფლებას) მისი დაგირავების უფლებამოსილების გარეშე, მოგირავნე ითვლება კეთილსინდისერ შემძენად, თუკი მან არ იცის და არც შეიძლებოდა სცოდნოდა ამის შესახებ. ამ ნორმის გამოყენება განსახილველი შემთხვევის მიმართ არასწორია, ვინაიდან იგი აწესრიგებს ისეთ გირავნობას, რომლის დროსაც დაგირავება ხდება მოგირავნისათვის არა გირავნობის საგნის (გირაოს) ფიზიკური გადაცემით, არამედ ხორციელდება ამ ნივთზე (ან უფლებაზე) არსებული საბუთის გადაცემით. მაგალითად, როცა ხორბლის მესაკუთრე ბანკში აგირავებს სასაქონლო საწყობში შესანახად მიბარებულ ხორბალს, იგი ბანკს გადასცემს არა ხორბალს, არამედ სასაწყობო მოწმობას. სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლით გათვალისწინებული წესი გამოიყენება სწორედ ამგვარი საბუთის საფუძველზე განხორციელებული დაგირავებისათვის.

ამგვარად, ბანკის კეთილსინდისიერების დასაბუთება სამოქალაქო კოდექსის 257-ე მუხლიდან გამომდინარე, უსაფუძვლოა.

სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. მოცემულ შემთხვევაში ბანკმა იცოდა, რომ დამგირავებელი (გ.პ.-ი) არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე. სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე". არც ამ პრეზუმფციის გამოყენება შეიძლება, ვინაიდან ბანკმა იცოდა, რომ დამგირავებელი არ იყო ავტომანქანის მესაკუთრე.

ამრიგად, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერი შეძენის შესაძლებლობაც ბანკის მხრიდან საფუძველს მოკლებულია.

ბანკს კეთილსინდისიერ შემძენად ვერ გადააქცევს ის გარემოება, რომ ავტომანქანა მესაკუთრის (მოსარჩელის) მფლობელობიდან 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მისი ნებით გავიდა. პ.-ის მფლობელობაში ავტომანქანის გადაცემის მიზანი არ იყო მისი შემდგომი დაგირავება. ავტომანქანის გადაცემა მყიდველზე შეიძლება შეფასდეს როგორც მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად გასვლა მისი მფლობელობიდან.

ამდენად, გირავნობის უფლება არ წარმოშობილა. შესაბამისად, ბანკს არა აქვს სამართლებრივი საფუძველი ავტომანქანის ფლობისათვის. აქედან გამომდინარე იგი ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერ მფლობელად.

დიდი პალატა თვლის, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს. ბანკმა მოსარჩელეს უნდა დაუბრუნოს ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი", სახელმწიფო ნომრით „....."

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

დიდმა პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

თ. კ.-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 13 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სს „.....ის" მფლობელობაში არსებული ავტომანქანა „მერსედეს-ბენცი", სახელმწიფო ნომრით –„.....''დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს თ. კ.-ს.

სს „..... -ს" გადახდეს სახელმწიფო ბაჟი 1040 ლარის ოდენობით, რომლის 70% - 728 ლარი - ჩაირიცხოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს №000141107 (კოდი 59) ანგარიშზე, ხოლო 30% - 312 ლარი -სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე.

გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.